პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 სექტემბერი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 225 (15438)

24 სექტემბერი მანქანათმშენებლის დღეა

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მიერ გამოშვებული უნიკალური ჩარხები საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში იგზავნება. საწარმოს კოლექტივი ენერგიულად შრომობს პროდუქციის მარკის ღირსებისათვის, სახელმწიფო დავალების ყველა მაჩვენებლით შესრულებისათვის. სურათზე: ქარხნის საექსპორტო წარმოების საამქროში გასაგზავნად მზადდება ჩარხების მორიგი პარტია.

ხ. პილაძის ფოტო.

მთელი ხალხის ინტერესებისათვის

საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ამას წინათ დამთავრებული მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებს. უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“ და დაამტკიცა კანონი „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“. სესიამ აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დღის წესრიგის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, მოსახლეობის შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებისათვის. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა ბუნებრივი სიმდიდრისადმი მზრუნველობითს დამოკიდებულებას, ამ სიმდიდრის სწორ, გონივრულ ჩაბმას სამეურნეო ბრუნვაში. ლენინის იდეები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ ფართოდ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში. „მარტო ჩვენ კი არა, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე, — არამედ მომდევნო თაობებსაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ყველა სიკეთით, რომელსაც გვაძლევს ჩვენი სამშობლოს მშვენიერი ბუნება“.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავენ ბუნების დაცვისათვის. საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, სადაც დაწესდა ჰაერში მავნე ნივთიერებათა დასაშვები კონცენტრაციის ზღვარი. ჩვენში აკრძალულია ახალი საწარმოთა გადაცემა საექსპლოატაციოდ, თუ ისინი აღჭურვილი არ არიან საწმენდი ნაგებობებით. მიღებულია მიწის, წყლისა და ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობათა საფუძვლები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ბუნების დაცვასთან და მისი რესურსების აღდგენასთან. მოკავშირე რესპუბლიკებში დამტკიცებულია ბუნების დაცვის კანონები. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მარტო ამ ბოლო წლებში მიიღეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი კასპიის ზღვის, მდინარეების ვოლგისა და ურალის აუზების გაჯუჯყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ, ბაიკალის ტბის სიმდიდრის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის შესახებ და სხვები. ყოველივე ეს უკვე საგრძნობ შედეგს გვაძლევს. მცირდება წყლების გაჯუჯყიანება, სუფთავდება ჰაერი ხამრეწველო ცენტრებში. უფრო ფართოდ ჩაღდება სამუშაოები ქვეყნის შიგა წყალსაცავებში თევზის დაცვისა და მისი გამრავლებისათვის, ტყის დაცვისა და ტყის რესურსების უკეთ გამოყენებისათვის, მადნეულის მოპოვებისას დანაკარგების შემცირებისათვის, სასარგებლო წიაღისეულისა და წარმოების ნარჩენების კომპლექსური გამოყენებისათვის, მიწების გაუმჯობესებისა და ცხოველთა და ფრინველთა დაცვისათვის.

ამასთან ერთად მთლიანად როდი ვიყენებთ ბუნებრივი ნედლეულის რესურსებისადმი მაქსიმალურად მზრუნველობითი დამოკიდებულების შესაძლებლობებს, რომლებსაც გვაძლევს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება. სესიაზე, კერძოდ, მკვეთრად გააკრიტიკეს ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის, საშენი მასალების მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის და ზოგიერთი სხვა სამინისტრო, რომელთა ბევრი საწარმო აჭუჭყიანებს ჰაერს, ნიადაგს, წყალსაცავებში უშვებს ცუდად გაწმენდილ ჩანადენს. სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანონ ამ კრიტიკიდან და რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში დასახულია ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მაგისტრალური მიმართულებანი. საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეისუბამისი ღონისძიებანი, ამასთან გაითვალისწინოს წინადადებანი, რომლებიც სესიაზე წამოაყენეს დეპუტატებმა, აგრეთვე ბუნების დაცვისა და სხვა მუდმივ კომისიათა წინადადებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელება დიდ როლს შეასრულებს სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებასა და საბჭოთა ადამიანების შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაში.

კომუნიზმის მშენებლობა მჭიდროდ დაკავშირებულია სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებასთან, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასთან, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფასთან. სწორედ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები აძლევენ შესაძლებლობას ქალაქისა და სოფლის მშრომელებს ფართო მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვაში. ახლა საბჭოებში არჩეულია ოო მილიონზე მეტი დეპუტატი, რომელთა შორის არიან მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფისა და ფენის, საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ პარტიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საბჭოების საქმიანობა უფრო აქტიური და მრავალმხრივი გახდა. ამავე დროს ყრილობამ მიგვითითა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გავზარდოთ დეპუტატების აქტორატი და აქტივობა. მათი პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე. ამ მიზნით მიზანშეწონილად ცნეს საკანონმდებლო წესით განესაზღვრათ ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა სტატუსი, მათი რწმუნებანი და უფლებანი, აგრეთვე თანამდებობის პირთა მოვალეობანი დეპუტატების მიმართ. კანონი „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“, რომელიც სესიამ მიიღო, ხორცს ასხამს ამ გადაწყვეტილებებს, აფართოებს დეპუტატთა უფლებამოსილებას იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც საბჭოების წინაშე დგას თანამედროვე პირობებში, ახალი წინგადადგმული ნაბიჯია სოციალისტური დემოკრატიის განვითარების გზაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებანი დიდმნიშვნელოვან ამოცანებს უსახავენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რადგან როგორც ბუნების დაცვა, მისი სიმდიდრის რაციონალური გამოყენება, ისე საბჭოთა სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცება ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმეა. უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ დადგენილებისა და კანონის პროპაგანდა, ყველაზეწოოთ იმას, რომ გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსებისადმი მზრუნველობითს დამოკიდებულებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი განუხრელად ხორციელდებოდეს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან შეუუნელებლად უწევდნენ კონტროლს ამ მუშაობას, რომლის მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალისტური ხაზოგადოებრივი წყობილების განვითარებისათვის ძნელია გადაჭარბებით შეავფასოთ.

ახლა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში საბჭოთა ადამიანები დიდი პოლიტიკური და შრომითი ამაღლებით ემზადებიან ღირსშესანიშნავი თარიღის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შეხვედრისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია დიადი დღესასწაულის წინა ხანებში და შეუხამებენ მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს, ხელს შეუწყობენ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევას.

ПРАВДА

23 სექტემბრის მოწინავე.

მანქანათმშენებელთა დღესასწაული

22 სექტემბერს მოსკოვის კინოთეატრ „ოქტომბერში“ გაიმართა მანქანათმშენებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, აღნიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა თავის მოხსენებაში, შეცხრე ხუთწლედში მანქანათმშენებლობა მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით უფრო დაჩქარებული ტემპით ვითარდება. 1972 წლის პირველ ნახევარში მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის გამოშვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით წელიწადნახევარში გეგმის გადამეტებით წარმოებულია თითქმის სამი მილიარდი მანეთის პროდუქცია, მათ შორის დიდძალი ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებანი, ლითონსაჭრელი ჩარხები, ავტომობილები, საფიქრო მრეწველობის მოწყობილობა და სხვა ნაკეთობანი.

ხუთწლედის დამდეგიდან ათისებულია დაახლოებით 4.100 ტიპის მანქანების, მოწყობილობის, აპარატების, ხელსაწყოების სერიული გამოშვება. თანამედროვე ტექნიკის წარმოების გადიდებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გაერთიანებებს „ავტოზილსა“ და „ავტოგაზს“, ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილას“, ურალის მანქანათსამშენებლო ქარხანას „კრასნი პროლეტარს“, იეორისა და სხვა ქარხნებს.

მანქანათმშენებლობის დარგებს სწარმოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საოჯახო მაცივრების, მოტოციკლებისა და მოტოროლერების, რადიომიმღებებისა და ელექტრომტვერსასრუტების, საათებისა და სხვა კულტურულ - საყოფაცხოვრებო და საოჯახო საგნების წარმოება.

ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა მანქანათმშენებლობის ორი ათასზე მეტი სახეობის პროდუქციას.

მიმდინარე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებლები შექმნიან 1.200 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგეტიკულ ბლოკს, 5 ათასი კუბური მეტრი მოცულობის ბრძოლითი მოწყობილობას, 350 ტონა ტევადობის კონვერტორებს, როტორულ კომბალაინებს, ასი კუბური მეტრი მოცულობის ციცხვიან ექსკავატორებს, ძლავრ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს - პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. (საკადესის კორ.)

მეგობრობა, ძმობა, სიყვარული

გულთბილი შეხვედრა ნაფარეულში

თელავი, 23 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). საქართველოში სტუმრად მყოფი ლენინურაღის ოლქის ვსევოლჟსკის რაიონის შჩეკლოვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. დობროდომოვა და უკრაინის სსრ ხმელნიცკის ოლქის შემეტოკის რაიონის ჩოტრობოკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ვ. ფედორჩუკი, რომლებიც თელავის რაიონის ნაფარეულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ზ. ხოლუაშვილის მოწვევით ჩამოვიდნენ, თელავის რაიონს ესტუმრნენ. მათ თან ახლავს ჟურნალ „სოვეტი დეპუტატოვ ტრუდაიშჩიხსიას“ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის რედაქტორი ე. ბუტკო.

სტუმრები გულდასმით გაეცნენ სასოფლო საბჭოს ტერტორიაზე არსებული ნაფარეულის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობისა და ლაფანყურის კოლმეურნეობის, ღვინისა და ეთერზეთოვანი ქარხნების მუშაობას, დაათვალიერეს გმირთა ხსოვნის აღსანიშნავი ტყე-პარკი, ხოლო ობელისკი ყვავილების თაიგულებით შეამკეს. მათ დაათვალიერეს აგრეთვე სასოფლო საბჭოს ახალმშენებლობანი, ესაუბრნენ მშრომელებს.

22 სექტემბერს, დღის 12 საათზე ნაფარეულის ადმინისტრაციულ სასლში მოეწყო სტუმრებთან გულითადი, გულთბილი შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი და მეორე მდივნები ა. ბატიაშვილი, ნ. იანვარაშვილი, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მეზრიშვილი, აგრეთვე მეზობელი სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, დეპუტატები და აქტივისტები, რაიონის პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სტუმრებს მიესალმა და სასოფლო საბჭოს, მუშაობის გამოცდილება გაუზიარა მისი აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. ხოლუაშვილმა. თავიანთ გამოცდილებაზე ილაპარაკეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის სოციალისტური კანონმდებლობის განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ მ. ხიდეშელმა, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ხომიზურამ, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ლ. ფოთოლაშვილმა, წინანდლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ზარნაძემ. თელავის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ მ. დავითაშვილმა ილაპარაკა, თუ როგორ ხელმძღვანელობს რაისაბჭოს აღმასკომი სასოფლო საბჭოების მუშაობას.

ლენინგრადის ოლქის ვსევოლჟსკის რაიონის შჩეკლოვოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. დობროდომოვამ და ხერსონის ოლქის შეპეტოვკის რაიონის ჩოტრობოკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ფედორჩუკმა ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რასაც აღნიშნული საბჭოები ეწევიან სოფლების კეთილმოწყობისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგემ მ. ბაღათურიამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი სარგებლობა მოაქვს ქვეყნის მოწინავე სასოფლო საბჭოებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები. ნაფარეულის კულტურის სახლში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თვითმოქმედმა კოლექტივებმა, ნაფარეულის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

სტუმრებმა დაათვალიერეს რაიონის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაობას.

შეხვედრა ნაფარეულში, რომელიც გაიმართა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეისათვის მზადების დღეებში, ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობის ნათელ დემონსტრაციად იქცა.

ვალდებულება განაღდებულია

კიროვაბადის ბამბის საწმენდი ქარხნის კოლექტივმა შესრულა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება. დავალების გადამეტებით უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის საფეიერო ფაბრიკებში გაიზავნა იმდენი ბოჭკო, რომლითაც შეიძლება დაამზადონ თითქმის 10 მილიონი მეტრი ქსოვილი.

ამ წარმატებაში წილი მიუძღვით მოძმე უზბეკეთის მანქანათმშენებლებს, რომლებმაც საწარმოს კოლექტივს დახმარება გაუწიეს მოწყობილობის განახლებაში.

აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის 12 ბამბის საწმენდი ქარხანა აღჭურვილია ტაკვინტის, ანდიჟანისა და ჩიმკენტის საწარმოებში დამზადებული მოწყობილობით. (საქდესი).

მაღალი ჯილდო

საავიაციო მეცნიერების და საბჭოთა თვითმფრინავმშენებლობის განვითარებაში უაღრესად დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირი, თვითმფრინავების გენერალური კონსტრუქტორი აკადემიკოსი ანდრია ნიკოლოზის-ძე ტუპოლევი დაჯილდოვა მესამე ოქროს medlით „ნამგალი და ურო“. (საკდესი).

თბილისელები შაბათობაზე

საახალწლო ზრუნვა დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის

უამინდობის მიუხედავად, ათასობით თბილისელი გამოვიდა გუშინ კეთილმოწყობისა და სანიტარული დასუფთავების სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად, ქუჩების, მოედნების, ბაღ-სკვერების, საწარმოდ-საწესებლების, ორგანიზაციების, საცხოვრებელი სახლების, ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიის წესრიგზე მოსაყვანად. მშრომელები წვიმას არ შეუშინდნენ და ხალისით შრომობდნენ ყველა უბანზე, გაიტანეს ასობით მანქანა ნაგავი, სამშენებლო ნარჩენები, დასუფთავეს ათასობით კვადრატული მეტრი ფართობი, შენობათა სადარბაზოები, სარდაფები, სხვენები, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების ვიტრინები, სასაწყობო მეურნეობა და სხვა.

ლენინის რაიონმა 25 ათასზე მეტი კაცი გამოიყვანა შაბათობაზე. ესენი იყვნენ ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, ელმავალსაშენებელი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი, ფოლადთუჯასასმელი ქარხნების, გაერთიანება „ელექტროაპარატის“, ტრიკოტაჟის კომბინატის, ჩაის საწონი ფაბრიკის და სხვა კოლექტივების წარმომადგენლები. სულ შაბათობაში რაიონის 242 საწარმო-დაწესებულება და ორგანიზაცია მონაწილეობდა.

ნამდვილი შრომითი ენთუზიაზმი სუფევდა პირველი მაისის, ოქტომბრის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის, კალინინისა და კიროვის რაიონებში. დილიდანვე ყველამ თავის სამოქმედო უბანს მიაშურა და ბევრი სასარგებლო საქმეც გააკეთა.

შაბათობის პირველმა დღემ მიუხედავად ცუდი ამინდისა ორგანიზებულად ჩაიარა ჩვენს დედაქალაქში. თბილისელებმა თავდადებით იშრომეს შობლიური ქალაქის საკეთილდღეოდ. ისინი დღესაც გამოვლენ კეთილმოწყობისა და სანიტარული დასუფთავების სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად.

საპატიო სიგელები

წარმოების რეზერვების გამოყენებისა და მომჰირნეობის რეჟიმის დათვალიერების შედეგები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილეს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროების საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების რეზერვების გამოყენებისა და მომჰირნეობის რეჟიმის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების 1972 წლის პირველი ნახევრის შედეგები. აღინიშნა, რომ მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ემზადებიან რა სსრ კავშირის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილესათვის, აქტიურად მონაწილეობენ დათვალიერებები და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. ნახევარ წელიწადში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობის სამინისტროთა საწარმოებსა და ორგანიზაციებში დათვალიერების მონაწილეთა რიცხვმა შეადგინა 72 ათასზე მეტი კაცი, ანუ მომუშავეთა საერთო რიცხვის 58 პროცენტი.

დათვალიერების მონაწილეებმა შეიტანეს 11.500 წინადადება, რომელთა დანერგვამ 1972 წლის პირველ ნახევარში 536 ათასი მანეთი დაგვიზოგა.

წარმოების რეზერვების გამოყენებისა და მომჰირნეობის რეჟიმის ღონისძიებათა განხორციელებამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ნახევარი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

მაგრამ რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმოს პროფკავშირულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით შეასუსტეს მუშაობა და დათვალიერების კომისიები არ წარმოუდგენიათ მასალები დათვალიერების შედეგების შესახებ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნეს დადებითი მუშაობა, რომელიც დათვალიერების დროს გასწიეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროთა საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

წარმოების რეზერვების გამოყენებისა და მომჰირნეობის რეჟიმის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში მოპოვებული 1972 წლის პირველი ნახევრის შედეგებით საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელებით დაჯილდოებული აღიარან შემდეგი სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები:

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით — თბილისის № 2 ავტოსარემონტო ქარხანა, თბილისის № 2 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივები.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხაზით — № 3 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით — ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივი.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაზით — გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წყალსადენის მეურნეობის კოლექტივი.

(საქინფორმი).

ფილმი პურისათვის გრძოლის შესახებ

ყაზახეთისა და ციმბირის უკიდეგანო მინდვრები. აქ 30 მილიონ ჰექტარზე — ქვეყნის მთელი სამარცვლე ნაკვეთის მეოთხედზე გაჩაღებულია ალოობა. ამ რაიონების სოფლის მშრომელთა სახელოვან საქმეებს ეძღვნება სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აღმოსავლეთის პური“, რომელიც ცენტრალურმა ტელევიზიამ შექმნა.

ახალი ფილმი, რომელიც 20 და 21 სექტემბერს უჩვენეს ციფერ ეკრანზე, ასახავს ბრძოლას პურისათვის, რომლისადმი მიპყრობილია ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღება.

ეკრანზე არიან მკის გმირები: კომბაინერები, ტრაქტორისტები, მძღოლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. მთელ თავიანთ ძალღონეს, გამოცდილებას, ცოდნას ისინი ახმარენ იმას, რომ რთული ამინდის პირობებში სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი. მხვნელ-მთესველთა შრომითს ენთუზიაზმზე ეკრანიდან გვესაუბრებიან სოციალისტური შრომის გმირები კომბაინერი ანასულტან დემეევი, ანდრია კიროვეი და ჩკის სხვა მოწინავენი.

მღელვარებით უყურებთ კინოკადრებს, რომლებზეც აღბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგზაურობა ყაზახეთის, ციმბირის პურის რაიონებში, მისი შეხვედრები მხვნელ-მთესველებთან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, რაიონების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელებთან. ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემქმნელებთან. მაყურებლები თითქოს თვითონ ხდებიან ნოვოსიბირსკის ოლქის პარტიული და სამეურნეო აქტივის იმ კრების მონაწილენი, რომელშიც გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. შეიხრა მოსავლის აღება. სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის წარმატებით ჩატარების ამოცანებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თქვა:

— ყველაფერი, რასაც ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურო აკეთებს წელს, საბოლოო ანგარიშით, მიზნად ისახავს იმას, რომ ცხოვრების რიტმი, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მომარაგების დონე ქარსანდელთან შედარებით უარესი კი არა, უკეთესი იყოს.

პარტიის ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის აღაფრთოვანებს მეწამომეგზურს. ყველა საბჭოთა ადამიანს თავდადებული შრომისათვის.

ფილმზე „აღმოსავლეთის პური“ მუშაობდნენ ვ. ეგოროვი, მ. ლიტვინინი, კ. პოდლაზოვი, გ. შეველიოვი. (საკდესის კორ.).

ა ჯ ა რ ა

ესალმება ამურს

ამურის ნიკოლაევსკი, 22 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს აქ ზორეული მზიური აეროდან ჩამოსულმა სტუმრებმა შეასრულეს ძველებური ვალი „ამურის ტალღები“. ამურის ყველაზე ჩრდილოეთ ქალაქში დაიწყო აეროის მ კუზიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გასტროლები. ქალაქის მცხოვრებლები — მეგადურები და გემმშენებლები გულთბილად შეხვდნენ აეროის ასსრ დამსახურებულ არტისტს ლეილა ვერულაშვილსა და ანსამბლის სხვა სოლისტებს, რომლებიც ასრულებდნენ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს.

ნიკოლაევსკში გამართული კონცერტებით მთავრდება ანსამბლის გასტროლები ამურისპირეთში.

სსრ კავშირის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილეს წელს ხაბაროვსკის სამხატვრო ფილარმონიამ ამურისპირეთის „მცხოვრებლებს უკვე გააცნო ქვეყნის ბევრი რესპუბლიკის ხელოვნება. აქ კონცერტები გამართეს უკრაინის, ბელორუსიის, ესტონეთის, აზერბაიჯანის კოლექტივებმა.

გზა ტექნიკური პროგრესისაკენ

ვ. ვადაჭკორია,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ნელს მანქანათმშენებლის დღე აღინიშნება ვითარებაში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი გაცხოველებით ემზადება თავისი ეროვნული შეიმის — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად. საქართველოს მანქანათმშენებლობა და ელექტროტექნიკური მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. მრეწველობის ამ დარგმა განვლო განვითარების შესანიშნავი გზა კერძო ნახევრადკუსტარული საწარმოებიდან სახალხო მეურნეობის წამყვან დარგამდე. სწორედ ამიტომ მანქანათმშენებლობა საბჭოთა საქართველოს მშრომელების სიამაყეს წარმოადგენს, ის რესპუბლიკის სოციალისტური ინდუსტრიის ყველაზე უფრო დიდი მონაპოვარია.

უკანასკნელ წლებში სამამულო მანქანათმშენებლობამ განსაკუთრებით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ამჟამად ჩვენი ქარხნები სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის ამზადებენ ახობით და ათასობით დასახელების სრულიად ახალ მანქანებსა და მოწყობილობას, რომლებიც შრომას უმსუბუქებენ ადამიანებს.

მანქანათმშენებელი საწარმოები ამზადებენ 100-მდე სხვადასხვა მოდელის მაღალი წარმადობის ზუსტ ლითონსაჭრელ ჩარხებს, სატვირთო ავტომობილებს, ნახევრადავტომატურ და ავტომატურ მანქანებს კვების მრეწველობისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, თუჯისა და ფოლადის სმელფებს. ამ მრავალრიცხოვან პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ბოლო წლებში საქართველოს ბევრმა მანქანათსამშენებლო საწარმომ რეკონსტრუქცია ანარიადა, აღიჭურვა ახალი ტექნიკითა და სრულყოფილი ტექნოლოგიით, რაც მეტ შესაძლებლობას იძლევა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, საინსტრუმენტო, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნების კოლექტივები წარმოებაში შრომის მოწინავე მეთოდების, ახალი ტექნიკის ათვისებისა და დანერგვის პიონერები არიან.

არსებული მოწყობილობის ახლით შეცვლა და მოდერნიზაცია, წარმოების ტექნოლოგიის კეთილმოწყობა, საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალურად გამოყენება, ეფექტიანობის ამაღლება რესპუბლიკის მანქანათმშენებელთა პირველი რიგის ამოცანებია. ახლა ელექტრული ჩარხებიდან XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მანქანათსამშენებელო ქარხნებმა კარგი მაჩვენებლები დაამაგრეს გასული წელი — რეალიზაციის გეგმა შეასრულეს 102,2 პროცენტით, გამოუშვეს 12,3 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა ელექტრომანქანები, ელექტროტრანსფორმატორები, სამაგისტრალო ელმავლები, მცირე ძალის ელექტროძრავები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ტექნოლოგიური მოწყობილობა, სხმულები წარმოებისათვის, ხელსაწყოები ლითონდამამუშავებელი მრეწველობისათვის, სატვირთო ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, კოშკური ამწეები. ქარხანა „საქსოფლმანქანამ“ ათვისა და გამოუშვა სწრაფად დასაშლელი ალუმინის მილებიდან დამზადებული საირიგაციო მოწყობილობის კომპლექტების პირველი სერია. ქარხანამ დამზადა აგრეთვე ახალი კონსტრუქციის ჩაის საკრეფი მანქანები. სამთო სასოფლო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა დაამთავრა ახალი სამთო ტრაქტორის „ტ-50-ის“ საკონსტრუქტორო დამუშავება, რომლის საცდელი პარტიაც მაღე გამოვა ფართო სამეურნეო გამოცდისათვის. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხანამ ათვისა სპეციალური მოდელამამუშავებელი ჩარხების რამდენიმე ახალი მოდელის წარმოება. ამ ქარხანაში ჩარხების 62 დასახელების დეტალები გადადაყვანილია დახურულ მოცულობითს ტვიფვრაზე.

ლენინის სახელობის ელმავალსამშენებელო ქარხანაში ათვისეს ახალი მარკის ელექტრომატბეტლსაწყობის გამოშვება. მას დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციისათვის იყენებენ. სამეცნიერო-საწარმოო კავშირებსა ენერგეტიკის საღარავი და სახარატო ჩარხების პროგრამული მართვის მოწყობილობანი, აგრეთვე კლავიშებიანი გამომთვლელი მანქანების ახალი მოდელი და სხვ. მანქანათმშენებლობის უმრავლესმა საწარმოებმა კარგად ამუშავეს მიმდინარე წელსაც, გეგმის ზევით გამოშვებულია გაჯერული, ლითონსაჭრელი ჩარხები, ავტომატიზაციის საშუალებათა ხელსაწყოები, სატვირთო ავტომანქანები, ელექტროურიკები, სამაგისტრალო ელმავლები და სხვა პროდუქცია.

კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა მაღე ძველი მოდელის უნივერსალურ სახარატო ხრახნსაჭრელ ჩარხს შეცვლის ახალი უფრო სრულყოფილი სახარატო ხრახნსაჭრელი ჩარხით, საწარმოში გამოსაშვები პროდუქციის განახლებასთან ერთად განუხრელად იზრდება პროდუქციის მოცულობაც. ამჟამად საწარმო წლიურად უშვებს 23 მილიონი მანეთის პროდუქციას (1965 წელს გამოშვებულ იქნა მხოლოდ 14 მილიონი მანეთის პროდუქცია), ხოლო ხუთწლედის ბოლოს ეს მაჩვენებელი 32 მილიონ მანეთს მიაღწევს.

წარმატებით ანადგურებს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს თბილისის სტალინის სახელობის ელექტროგაზომვამეკვლეველი ქარხნის კოლექტივი. მაგალითად, ქარხანამ რვა თვეში გამოუშვა გეგმით გათვალისწინებულზე მეტი პროდუქცია და გოგორწყვილების რემონტიდან გამოშვება თითქმის 17 პროცენტით გაადიდა, ეს ძირითადად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე. საიუბილეო წელს ვეტერანი ქარხანა აღიჭურვება ახალი ტექნიკით, ლითონსაჭრელი ჩარხებით, ამწეებით. სამგზავრო ვაგონების საამქროში ამ ცოტა ხნის წინათ საექსპლოატაციოდ გადასცეს მძლავრი ამწეები, რამაც 16 პროცენტით აამაღლა შრომის მექანიზაციის დონე და მნიშვნელოვნად გაადიდა რემონტიდან ვაგონების გამოშვება.

კარგად მუშაობენ თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის, ქუთაისის საავტომობილო, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, ელექტრომექანიკური, რუსთავის ამწესამშენებელო, თბილისისა და სოხუმის ხელსაწყოთსამშენებელო, ფოთის ბიდრომექანიზმების ქარხნების, სამრეწველო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ და ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივები.

ახალი ტექნიკის შექმნის, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის დიდწინმზნეულოვან საქმეში წარმოების მუშაკებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საკავშირო თუ რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები. ბევრ საინტერესო საკითხს ამუშავებენ თბილისის მეცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საკავშირო საპროექტო საკონსტრუქტორო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, რომელიც ამ ათეიოდე წლის წინათ შეიქმნა. ეს ინსტიტუტი ამუშავებს და წარმოებაში ნერგავს მცირე ელექტრძრავების წარმოების ტექნოლოგიას და სპეციალურ ტექნოლოგიურ მოწყობილობას. მიკროძრავების ფართო გამოყენება აქვს მრეწველობის სხვადასხვა დარგში, მეიაციაში, სოფლის მეურნეობაში. სარეცხი მანქანები, მაცივრები, მაგნიტოფონები, საბავშვო სათამაშოები და სხვა მოწყობილობა წარმოუდგენელია, თუ არ იქნა მცირე სიმძლავრის ძრავები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროდუქციის გამოშვების ზრდას, ამიტომ ინსტიტუტის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების მასობრივი წარმოების ტექნოლოგიური პროცესებისა და ავტომატიზაცია-მექანიზაციის საშუალებების დამუშავება, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების სისტემის გაუმჯობესება და მათი წარმოებაში დანერგვა.

ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ბევრ ელექტროტექნიკურ საწარმოსთან. თბილისში იგი უშუალოდ ეხმარება ქარხანა „მიკროძრავას“, მისთვის ამუშავებს და წარმოებაში ნერგავს ტექნიკურ სიახლეებსა და ტექნოლოგიურ მოწყობილობას. ამ ციტა ხნის წინათ „მიკროძრავამ“ და ზოგიერთ მის მონაოგსავე საწარმოში დაინერგა სამუშაო ადგილების მეცნიერული ორგანიზაციის ტიპური პროექტები, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, ხელს უწყობს ხარისხის გაუმჯობესებას; წარმოების კულტურის ამაღლებას. საწარმოში მოგვიის გასაადიდებლად, ახალ სახეობათა პროდუქციის ასათვისებლად დიდ როლს შეასრულებს წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემა. წელს „მიკროძრავაში“ დაინერგა ლითონპროდუქციის აღრიცხვის უნიფიცირებული სისტემა, რომელიც მთელი ქარხნის ავტომატიზებული სისტემის ნაწილია. ინსტიტუტის კოლექტივმა მრავალი სიახლე მომმე რესპუბლიკების არაერთ საწარმოშიც განახორციელა.

საქართველოს მანქანათსამშენებლო მრეწველობაში ამჟამად 60 ათასზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე შრომობს. ჩვენი მანქანათმშენებლობის სიამაყეს წარმოადგენენ წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, რომლებიც დაკერძელური შრომის მაგალითის იძლევიან. ვინ არ იცნობს სახელოვან ელმავალმშენებლებს ვ. პაპინაშვილსა და გ. ჩადუნელს, ჩარხმშენებლებს ზ. სარალიძესა და შ. ფირცხალავას, ელექტროგაზომვამეკვლეველებს ზეინალ ბ. გაჩეჩილაძეს და მჭედელ კ. ილურიძეს და ბევრ სხვას, რომლებიც ჩვენი მუშათა კლასის ოქროს ფონდს წარმოადგენენ.

საქართველოს მანქანათმშენებლობის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ გამმეორებელებსა და რაციონალიზატორებს, რომელთა რიგებში ათასობით კაცი ითვლება. მარტო შარშან და წელს ჭქვს თვეში მათ წარმოებაში დანერგეს 1.410 წინადადება, რომელთა შედეგად მიღებული 2 მილიონ 200 ათასი მანეთი ეკონომია.

როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება მოკლედ მაინც არ აღვნიშნოთ ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვენს მანქანათსამშენებელო ქარხნებს „თბილისელსაწყოში“. ანალოგიური სურათია მართველგაზომთვლელი მანქანების ქარხანაში, „სოხუმელსაწყოში“, ქარხანა „საქსოფლმანქანაში“, სახეხი ჩარხების ქარხანაში და სხვ.

ბევრ საწარმოში ძალიან ლაბალია მოწყობილობის ცვლადობის ეფიციენტი. მანქანათმშენებლობის საწარმოებში ორ ცვლად მუშაობის დადგენილი რეჟიმის მიუხედავად, ის მხოლოდ 1,02-ს შეადგენს, 26 კომისრის ქარხანაში — 0,79-ს, „თბილელსაწყოში“ — 0,84-ს, ხოლო ქუთაისის ავტოქარხანაში, სადაც საწარმოო ლითონდასამუშავებელი მოწყობილობის 2.700 ერთეულია, ცვლადობის კოეფიციენტი 1,12-ს შეადგენს.

როგორც ჩანს, ამ ქარხნებში ჯერ კიდევ მთლიანად არ იყენებენ შრომის ნაყოფიერების გადიდების ისეთ საშუალებებს, როგორიც არის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია და მიდასაქარხნო ტრანსპორტის რაციონალურად გამოყენება, დეტალებისა და ნამზადის ზუსტი მოცულობითი ტვიფვრის დანერგვა, ლითონის ფხვნილის შეცხობით დამზადებული დეტალების გამოყენება, უნივერსალური ასაწყობი სამარჯვების დანერგვა და სხვ. მიუხედავად მუშახელის სიმცირისა, მთელ რიგ საწარმოებში ჯერიოვან ყურადღებას არ აქცევენ ავტომატიზაციისა და საწარმოო პროცესების მექანიზაციის დანერგვის საქმეს. მანქანათმშენებლობის საწარმოებში ხელით შრომის ხვედრითი წონა ჯერ კიდევ მაღალია და თითქმის 40 პროცენტს აღწევს. ასეთ ქარხნებში ხელით შრომის მნიშვნელოვან ნაწილს ისეთი საწარმოო პროცესები შეადგენს, როგორიც არიან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, წარმოების ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, საზეიმელო-საამწყობო სამუშაოები. მაგრამ, როგორც ითქვა, მათი მექანიზაციისათვის ცოტა რამ კეთდება. ბევრ ქარხანაში დაბალია შრომის ნაყოფიერება, გამოუყენებელია არსებული რეზერვები და ძალიან ნელა მიმდინარეობს წარმოების განვითარება. ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ მთელი რიგი საწარმოები ვერ იცავენ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის მატების საშუალო წლიურ ტემპს. მაგალითად, მანქანათმშენებლო მრეწველობაში ნარმან პროდუქციის ზრდის ტემპმა ნაცვლად 41,5 პროცენტისა შეადგინა 107,1 პროცენტი. ნელი ტემპით დაგალება ვერ შეასრულეს ითთის ელექტროანალიზატორის, ელექტრომანქანური „გასამთავრებელი“ ქარხანა, ქარხანა „ელექტროშუფლებამ“ და სხვებმა, ხოლო ზოგიერთმა საწარმომ წინა წელს მიღწეული დონის შემცირებაც კი დაუშვა.

ჩამორჩენა ახალი საწარმოების მშენებლობისა და მოქმედი ქარხნების რეკონსტრუქციის საქმეც. სწორია შემოსავლები, როცა უხეშად ირღვევა სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის დადგენილი ვადები. ძალიან გაჭიანურდა 1964 წელს დაწყებული „პლასტმასის“ ქარხნის რეკონსტრუქცია. 1963 წლიდან მიმდინარეობს ავტომატური მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბორის ქარხანაში სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

მიმდინარე ხუთწლედში დიდი ამოცანები დგას საქართველოს მანქანათმშენებლობის წინაშე, პროდუქციის გამოშვებასთან ერთად მათ მნიშვნელოვნად უნდა გაიუმჯობესონ მისი ხარისხი. აუნდა ახალი და რეკონსტრუირებული იქნება ბევრი მანქანათსამშენებელო საწარმო. მწყობრში ჩადგება ბათუმის ახალი ელექტროტექნიკური ქარხანა, რომლის პირველი რიგის ამუშავებით სიმძლავრე ბევრად გაიზრდება. რეკონსტრუქციის შემდეგ 5-ჯერ გადიდდება პროდუქციის წარმოება შორაპნის ელექტროელემენტების ქარხანაში, დამთავრდება მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის კომპლექსის მშენებლობა, მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა საიუველირო ფაბრიკის პირველი რიგი, დამთავრდება თბილისის კიროვის ჩარხსამშენებელო ქარხნის რეკონსტრუქცია.

ეს ამოცანები რომ შეასრულონ, მანქანათმშენებლებმა მეტად დაძაბულად და მუყაითად უნდა იმრომონ. საიუბილეო წელიწადი დასასრულს უახლოვდება, და მუშაობის შედეგების შეჯამებისას მათი შრომითი წვლილი, როგორც ყოველთვის, საპატიო უნდა იყოს.

ლაბა მესტიის მაღალმთიან კოლმეურნეობაში მეცხოველეობა საზოგადოებრივი მეურნეობის წამყვანი დარგია. ფერმაში 440 სული მსხვილფეხა საქონელია. აქ ყოველი მეწველი ძროხიდან წლიური გეგმით გათვალისწინებულზე 50 კილოგრამით მეტ რძეს იღებენ.

კოლმეურნეობის მოწინავე მეცხოველეთა შორის ანთისა ფალიანსაც ასახელებენ. გასულ წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გოგონა სწრაფად დაეუფლა მწველავის პროფესიას. მოწინავე მწველავი კოლმეურნეობის კომკავშირელებმა თავიანთ წინამძღოლად აირჩიეს.

სურათზე: ლაბა მესტიის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, მწველავი ანთისა ფალიანი.

ა. მაჭავარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები — პრაქტიკაში

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დღეანდელობის უცილობელი მოთხოვნაა, ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა, წინსვლის საწინდარია. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მიმდინარე ხუთწლიდის ამოცანები სახავენ სამრეწველო წარმოების დონის შემდგომი ამაღლების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური აღჭურვის, სისტემატური გაუმჯობესებისა და სრულყოფის ახალ მოთხოვნებსა და პრობლემებს. ჩვენი მრეწველობის განვითარების ძირითადი მიმართულება გახდა საზოგადოებრივი წარმოების ყოველნაირი ინტენსიფიკაცია.

დღეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების გადამწყვეტი პირობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაა.

მიმდინარე ხუთწლედში საერთო პროდუქციის მოცულობა რესპუბლიკის მრეწველობაში 1 მილიარდ 780 მილიონი მანეთით უნდა გაიზარდოს. ეს ამოცანა შეიძლება გადაიჭრას ძირითად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებით, რაც საშუალებას მოგვცემს საერთო პროდუქციის მატების დიდი წილი მივიღოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების ჯაზით.

ღრმად ესმით რა პრობლემის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკები თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში სერიოზულ ყურადღებას უთმობენ წარმოების ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მრეწველობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი. მარტო შარშან 40 საწარმოში დაინერგა პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, დამთავრდა 190 საამქროსა და უბნის ავტომატიზაცია და მექანიზაცია. კომპლექსურად მექანიზებულია 6 საწარმო, ამამეცდა 45 ბექანიზებული და ავტომატიზებული ნაკადური ხაზი, დაიდგა მაღალი წარმადობის 500 ჩარხი, მანქანა, აგრეგატი, ავტომატი, ნახევრადავტომატი და ავტომატური აპარატები. ბევრი რამ გაკეთდა გამოსათვლელი ტექნიკის დარგშიც.

ამასთან მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების საქმეში რესპუბლიკის მრეწველობას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც აქვს.

ყოველივე ეს აღინიშნა რესპუბლიკურ საველეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების დაჩქარების გზები საქართველოს მრეწველობაში“, რომელიც 22 სექტემბერს გაიმართა თბილისში.

